**რედაქცია**
მოლინის (აბას-აბატის) მოედანზე, ყორღანოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

**გაზეთის ფასი**
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### კავკასიის სამეურნეო საზოგადოება

საზოგადოება, რომლის სახელიც ზევით არის მოხსენებული, დაუარსებიათ 1850 წელს და ამ მოკლე ხანში ოცდახუთი წლის იუბილეის იდღესასწაულებს. მიზანი საზოგადოებისა, როგორც წესდებაში სწერია, არის: დაეხმაროს ადგილობრივ კავკასიის მეურნეობის წარმატებას, მემამულეებს, დაეხმაროს როგორც ფულითა აგრეთვე მაგალითით, ისეთი სამეურნეო წარმატებაში, რომელიც ქვეყანას რომელსამე სარგებლობას მოუტანს.

ამ მიზნის მისაღწევნელად, იმავე წესდებულების ძალით, საზოგადოებისთვის ყოველ წლობით დანიშნულია ოცდახუთმეტი ათასი მანეთი.

ამნაირად, საზოგადოებას რომ ყოველ წელიწადს ესარგებლა მთავრობისაგან იმისთვის დანიშნულის ფულებითა და ეს 35,000 მანეთი აელო ხაზინიდამ, იმას კავკასიის მეურნეობის წარმატებისათვის 875,000 მანეთის დახარჯვა შეეძლო.

ნამდვილი ციფრი საზოგადოებისაგან მიღებულის ფულებისა ჩვენ არ ვიცით; ვერ ვიტყვით—რამდენს იღებდა ყოველ წელიწადს საზოგადოება თავის მიზნის აღსასრულებელად. მაგრამ სულ ცოტა რომ ვსთქვათ და წელიწადში, 35,000 მანეთის მაგივრად, მხოლოთ ათი ათასი მანეთი ჩავაგდოთ, გამოვა, რომ საზოგადოებას, ორას ორმოცდა ათი ათასი მანეთი მაინც უნდა დაეხარჯა კავკასიის მეურნეობის წარმატებისათვის!

ახლა ვიკითხოთ: მოიტანა საზოგადოებამ ამ ფულის შესაფერი სარგებლობა? ოცდა ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ მამა-პაპურ მეურნეობას რამე წარმატება დაეტყო? რომელი ახალი სამეურნეო წარმოება შემოვიდა, საზოგადოების შემწეობით, ჩვენს კავკასიაში? ერთი სიტყვით, მოუტანა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მხარეს სახელმწიფო ფულებითა და თავის მოქმედებით ის სარგებლობა, რომელიც მოეთხოვება, თუ არა?

სამწუხაროთ, უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოებას სანახევროთაც არ გაუმართლებია ის იმედი, რომელიც ყოველს კაცს შეეძლო იმაზე ჰქონოდა. ყველაზე უფრო მომეტებულ ფულს საზოგადოება იმ კერძო პირების შესაწევნელად ხარჯავდა, რომელთაც ცოტაოდნათ რიგიანი ოჯახობა ჰქონდათ გამართული ანუ რომელნიც რომლისამე ახალი და ქვეყნის სასარგებლო წარმოების დაწყებას ჰპირდებოდნენ. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ უფ. კუჩენბახს თავის ყველის ქარხნისთვის საზოგადოების ფულებიდამ 50,000 მანეთამდი აქვს მიღებული. რა სარგებლობა მოუტანა მხარეს ამ კერძო პირების შეწევნამ? ვისთვის არის სასარგებლო ის „წერილები", რომელსაც საზოგადოების სეკრეტარი, უფ. სიტოვსკი, სცემს და რომლისთვისაც წელიწადში 1,600 მანეთს იღებს? კუნჩებახისთვის მიცემული 50,000 მანეთი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო წარმატებას გამოადგა?

ერთად-ერთი საქმე გამოუწყია საზოგადოებას, რომელიც მართლა და ნამდვილ სარგებლობის მოტანას გვიქადის: ეს არის ლოჭინის სამეურნეო შკოლა. მაგრამ, ჯერ-ჯერობით, საუბედუროთ, ეს შკოლაც ისე უხეიროთ, ოფიციალური, კანცელარიული წესით მიდის, როგორც ყველა საქმეები ზემოხსენებულის საზოგადოებისა.

თვით მთავრობა მიხვდა, რომ ამ გვარად საქმეების წაყვანას, ამ გვარს კერძო პირების შემწეობას ქვეყნისათვის თითქმის არავითარი შემწეობა და წარმატება არ მოაქვს და ამიტომ ამ უკანასკნელ დროს ისე უხვად აღარ აძლევს ფულს, როგორც ადრე აძლევდა.

ჩვენ რომ გვკითხოს კაცმა: რის გაკეთება შეუძლია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასაო? როგორ მოახერხებს ჩვენებური მეურნეობის წარმატებასაო?—აი, რას ვეტყოდით:

უნდა დაანებოს თავი კერძო პირების შეწევნას.

რაც შეიძლება მომეტებული სამეურნეო შკოლები უნდა გამართოს ჩვენში.

რაც შეიძლება მომეტებული სამეურნეო პრაქტიკული ბაღები (ფერმები) უნდა დაარსდეს, თუ მოხერხდება, ყოველს უეზდში.

ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის გასაგონს ენაზე ხეირიანი გაზეთები (და არა ისეთი, როგორც „მუთნის-დიდაა") უნდა გამოდიოდეს.

„წერილების" გამოცემა მხოლოთ საზოგადოებისთვის უნდა იყოს სასიამოვნო; ჩვენ მეურნეობას, ჩვენს მეოჯახეებს იმისაგან არავითარი სარგებლობა არ უნახავს (ეს თვით საზოგადოების უკანასკნელს 15 იანვრის სხდომაშიაც დაამტკიცეს).

რაც შეიძლება ნაკლები ოფიციალური, კანცელარიული ხასიათი უნდა ჰქონდეს საზოგადოებას.

თუ ამ გაკვრით აღნიშნულ პირობებს შეასრულებენ, დარწმუნებული იყავით, რომ ეს საზოგადოება, რომელიც ახლა ამდენს ფულს ასე უნაყოფოთ ხარჯავს, ქვეყანას სარგებლობას მოუტანს და ნამდვილად შეასრულებს იმ მიზანს, რომლისთვისაც მზრუნველ მმართებლობას დაუწესებია...

ს. მესხი.

## დღიური

ერთხელ ქართველი გაქურდეს; ეჭვი ოსებზედ აილო, მაგრამ პირადად კი რომელი იყო, არ იცოდა და დაუწყო მუქარა საზოგადოდ ქურდს; მაშინ ერთი ოსი მოუბრუნდა და უთხრა:

„რას მემუქრები, თუ იციო"?...

ამისი არ იყოს, ზოგიერთი ბატონები, თურმე, ჯავრობენ: „დროებაში" ჩვენს ლანძღვასა სწერენო; და გვიკვირს!... ჩვენ არავისი არც სახელი გამოგვიცხადებია და არც გვარი; მაგრამ ეტყობათ, იმ ოსის საქმე ემართებათ!

—

ზოგიერთები, თურმე, ჰყრიან ხმას, რომ „დროებას" ნურავინ გამოიწერთ, თორემ ტყუილი შრომა იქნებაო, რადგანც ამ გაზეთს მალე მოსპობენო.... ნუ სწუხდებიან: „დროებას" კარგათ ესმის თავის დანიშნულება; ის უკანონოს არას ჩაიდენს და თუ ცუდის საქმისა და ცუდკაცობის გამოაშკარავება მიაჩნიათ იმ დარბაისელ-პირებს საწინააღმდეგო საქმეთ, შეცდარან!.. ამგვარი მხილება არათუ გაზეთის, ყოველ რიგიანი კაცის ვალია და კანონიც მოითხოვს!.. დიახ, „დროება" რასაც

## ფელეტონი

### სამშობლოს სიყვარული

წერილი მეგობართან

II

მოვიგონოთ ის დრო, როდესაც მე და შენ ერთად შკოლის ერთს შავად შეღებულ სკამზე ვიჯექით და ერთი ახმახი, ლაზათიანათ ჩასქელებული და მუდამ ცხვირ-წითელი ისტორიის მასწავლებელი მამულის ორიოდე ნამდვილი და ღირსეული შვილების ამბებს გვეუბნებოდა.—აი, ორიოდე სურათი ქრისტეს შობის წინ მეექვსე საუკუნის რომაელების ისტორიიდამ:—

ბრუტუს და კოლლატინოსის კონსულობის დროს, რომაელები ერთს კრძალვაში და შიშში იყვნენ გარეშე მტრებისაგან. ერთი იმათგანი-ეტრუსკების მეფე პორსენა რომის გარდაყენებული კონსულის შემწეობით და აურებელი ჯარით, მოადგა ტიბრის მდინარის მარჯვენა მხარეს და აქედამ დღე დღეზე ემუქრებოდა რომის ქალაქის აღებას. რომაელები ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ ისინი ამ ადგილიდამ გაედევნათ, მაგრამ მათ საუბედუროთ მტერი უფრო ძლიერი იყო.

ერთს დღეს საქმე იქამდინ მივიდა, რომ მტერი ხიდს მოადგა და მარცხენა მხარეზე გადმოსვლას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ერთმა რომაელთაგანმა ჰორაცი-კოკლესმა განიზრახა სამშობლოს დასახსნელად თავის გაწირვა.—ეს მამულის სახელოვანი შვილი შედგა ხიდზე და მარტო ერთად-ერთმა ადამის წლის ქვითქირის კედელსავით გაუმაგრდა მტერს იმ დრომდინ, სანამდისინ მისმა მემამულეებმა ხის ხიდის ჩამგვრევაც მოასწრეს. ჰორაცი ჩანგრეულს ხიდს წყალში ჩაჰყვა და თავიდამ ფეხებამდისინ შეიარაღებული სრულებით უვნებელი მისცურა თავის მემამულეებთან.

ამ გვარი თავგანწირულებისათვის იმას რომაელებმა შემდეგ ძეგლი აუგეს და თან იმდენი მიწაც მისცეს, რამდენისაც ერთის დღის განმავლობაში გარს-შემოვლა ირგვლივ შეეძლო.—რომაელები მაინც არ იყვნენ მოსვენებულნი, რადგან მტერი მდინარის მარჯვენა მხარეზე დაბანაკდა.

ამ დროს მეორე რომაელმა მუციუსმა განიზრახა ეტრუსკების მეფის პორსენის მოკვლა.—მუციუს გავიდა წყალს გაღმა, შეიპარა მტრის ბანაკში, იქიდამ მეფის კარავშიაც და აქ მოჰკლა კიდეც ერთი კაცი, მაგრამ მი'და საუბედუროთ, ეს მოკლული მეფის ერთი მსახურთაგანი გამოდგა. მკვლელს სტაცეს, რასაკვირველია, ხელი და იმწამსვე ცოცხლათ დაწვა გაუსაჯეს.—როდესაც მუციუს ანთებულ შეშის ხორასთან მიიყვანეს დასაწვავათ, გაიშიშვლა მარჯვენა ხელი და დასდო ცეცხლზე. მეფემ რომ ჰკითხა, მაგას რატომ შვრებიო? მუციუსმა მიუგო:

— მე მინდა დაგიმტკიცოთ, რომ დაწვის არ მეშინია! ჩემი დაწვა შეგიძლიანთ, მაგრამ ჩემს მემამულეებში 300 ჩემისთანა კიდევ არიან, რომელთაც აღთქმული აქვთ შენი მოკვლა!

ამ სიტყვებით და მაგალითით მეფე დარწმუნდა, რომ რომაე-

კი საზოგადოების საჟნებელსა და შეუფერებელს დაინახავს, გამოამჟღავნებს სინიდისისა და კანონის თანხმად.

—

ერთის პირისაგან ცნობა მოგვივიდა, რომ რადგანაც „დროებაში“ ჩემი ლანძღვა-გინება იწერება, ამისათვის გთხოვთ ამ გაზეთს ნუღა გამომიგზავნითო... ეს ამბავი სწორეთ სასაცილოა: ეტყობა, იმ ოსისა არ იყოს, თავი უცვნია, მაგრამ ნუ-თუ იმას ჰგონია, რომ მისი ამბავი მარტო იმ ნომერში იბეჭდებოდეს, რომელიც იმას მოსდის? დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ სხვების ნომრებშიაც ისევ ის ამბავი ეწერება და მის ამბავს სხვები მაინც ხომ გაიგებენ და თვითონ ხომ უგაზეთოთაც კარგათ იცის?...

დედაბერმა რომ სარკე გატეხა და მითი ეგონა, თუ დაპრანჭულ დედაბრათ საზოგადოთაც აღარ გამოჩნდებოდა, ხომ გაგიგონიათ?.....

—

ერთი ჩინებული გვამი მირჩევს, რომ ახირებულებს (მის აზრით) წერას თავი დავანებო და თუ მაინცა და მაინც აღარ მოვიშლი წერას, ეპიტაფიები, ე. ი. საფლავის ქვებზედ დასაწერი ლექსები ვსწეროო! დიდათ ვმადლობ ამ რჩევისათვის და მზათა ვარ, რომ ყველაზედ პირველ იმას ვემსახურო!...

—

ზოგიერთები გვწერენ ჩვენ, რომ თვალი დახუჭეთ და ჩვენს ცუდს ნურას დაინახამთო. და რა გამოვა, რომ კიდეც ვსინჯოთ და თვალები დავხუჭოთ, მაშინ როდესაც მათი მეგობრები აღარ გვასვენებენ, ყურში ჩაგვჩურჩულებენ, თუ ჩვენმა ამა და ამ მეგობარმა ამისთანა და ამგვარი უწესო საქმე ჩაიდინაო და ჩასწერეთო, მაგრამ ჩემით ნუ იტყვიო.

აკაკი

—

□ ამბობენ, რომ Tფილისის გუბერნიის რამდენსამე მემამულეს კერძო სამეურნეო საზოგადოების შედგენა განუზრახავთ.

□ Iმერეთში ძველი ჩვეულება გაუხსენებიათ: არსად არ იყო იმდენი ქალების ტაცება, როგორც Iმერეთში, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ეს ჩვეულება თითქო გადავარდა. ახლა კი, როგორც კორრესპონდენტი გვწერს, ისევ გაუხსენებიათ: ერთს რუსს ქუთაისში ფრანგების უბნიდამ ქალი მოუტაცნია და ჯვარიც გადაუწერია. მაგრამ ეს მოტაცებათაც არ ჩაითვლება, რადგან უთანხმოებას მხოლოდ ქვრივი დედა აცხადებდა თურმე, ქალი კი დიდის სიამოვნებით გაჰყოლია... ვინ იცის, რამდენი გასათხოვარი ქალი ნატრულობს ამნაირს ბედს!...

—

ესვე კორრესპონდენტი გვწერს, რომ ამ თვის ცამეტს ქუთაისში ახალი საქალებო სომხური შკოლა უკურთხებიათ და მასწავლებლებლად იქაურს წმ. ნინოს ზავედენიაში კურს-შესრულებული ორი ქალი — ეკ. ტერსტეფანოვისა და დ. ხოჯაშვილისა დაუნიშნავთ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ს. ზუბი, 15 იანვარს.

ამ სოფელში ამას წინათ ერთი ამბავი მოხდა, რომელიც ჩემის აზრით საზოგადო ყურადღების ღირსია.

ეს სოფელი მდებარეობს დასავლეთით ქუთაისისა 22-ს ვერსზედ. მცხოვრები უმეტეს ნაწილად არიან გლეხები, თუმცა აქა-იქ შეხვდებით აზნაურებსაც. სოფლის მახლობლად ჩამოდის მდ. ზუბის-წყალი, რომელიც შეადგენს დიდს ნუგეშს მცხოვრებლებისათვის, მაგრამ ვაი თუ საუბედუროდ მათდა პირუტყვებმაც ვეღარ შესძლონ იქამდის მიხწევა. სახნავსათესი გლეხებს ცოტა აქვსთ: თითოეულს გლეხს ერთი ორიოდ ნაჭერი ადგილის მეტი არა გაარჩნია რა. Iს ადგილები, რომლებიც გარ შემოზღუდულია მათზედ, დღემდის დარჩენია ს. მაღლაკის მცხოვრებს თავადებს.

Tავადები ხედავდნენ, რომ უ ამ ადგილებოთ გლეხს ერთ საათსაც არ შეუძლია გაძლება, რადგან პირუტყვისთვის სხვა საძოვარი ალაგი არ აქვთ და ამიტომ ძლიერ ავიწროვებდნენ. Уოველი გლეხი თითოეულ პირუტყვზედ წელიწადში ექვსი შაურიდამ ათამდი იხდიდა და თუ დიდის პატივის-ცემით არ გაურიგდებოდნენ, არც იმ ზემოხსენებულ გარდასახადს სჯერდებოდნენ. დღეს, საუბედუროთ თუ საბედნიეროთ მათდა, გლეხებმა იპოვნეს მეფისაგან დატოვებული საბუთი, რომელშიაც ცხადათა სჩანს, რომ ეს ზემოხსენებული საბალახო ადგილები გლეხებს ეკუთვნისო. ამისთვის გლეხებმა განიზრახეს თავის-მნებელობით დაჭერა ამ ადგილებისა და დაუწყეს ხვნა. ეს გაიგეს ზემოხსენებულ თავადებმა, შეიკრიბნენ, დაესხნენ თავზედ და ერთის ჩხუბით და ცემა-ტყეპით გასდევნეს გლეხები

ამის თაობაზე ახლა დავაა დაწყებული. Tუ სასამართლომ ეს ადგილები თავადებს დაარჩინა, გლეხები სწორეთ იძულებულნი იქნებიან, რომ ამ სოფლიდამ აიყარნენ და სადმე სხვაგან დასახლდნენ, რადგან პირუტყვს კარზედ ვერ გამოუშვებენ და გამოჯავრებული თავადები ადრინდელ გადასახადს აღარ დასჯერდებიან.

ს. წერეთელი

# რუსეთი

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია 1875 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში რუსეთის Iმპერიისა. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ რუსეთის ხაზინა 1875 წელს სულ 559,361,193 მანეთს მიიღებს შემოსავალს (ამ რიცხვიდამ — 6,948,728 მანეთს კავკასიის სამოქალაქო მმართველობისაგან). გასავლის ანგარიში გამოყვანილია — 556,105 410 მანეთი.

აქედამ, სხვათა შორის, სამხედრო სამინისტროზე 175,049,492 მანეთი უნდა დაიხარჯოს და სახალხო განათლების სამინისტროზე კი 14,620,041 მანეთი.

ზემოხსენებულსავე გაზეთში სწერენ, რომ უკანასკნელ რეკრუტების აკრებაში, ახალი სამხედრო წესდებულებით, მარტო ევროპის რუსეთში — 694,736 სალდათი უნდა აეყვანათ; ამ რიცხვში ახლად მოწვეულები იყვნენ 346,673 რეკრუტი, რომელთაც არ ჰქონდათ უფლება, რომ ვალდებულებითი სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულ იყვნენ, და 12,554 კეთილშობილები.

დიდი ხანია მას აქეთ, რაც რუსეთის ზოგიერთი ერობა ცდილობს, რომ მმართებლობამ სულ თუ არ მოსპოს, შეამციროს მაინც არის მარილის აქციზი, რადგან ამით, უეჭველია, ერთი-ორად გაეფდება ეს ხალხისათვის აუცილებლად საჭირო ხორავი. მთავრობამ ამის თაობაზე კომისია დანიშნა, რომელსაც ეხლა თავის აზრი წარუდგენია, რომ მარილის აქციზის შემცირება ხალხს დიდს შემწეობას და შემსუბუქებას მისცემსო. მინისტრების კომიტეტს ამ საგანზე გადაწყვეტილება დაუდვია, რომ ფინანსის მინისტრს მიენდოსო, როდესაც დაინახავსო, რომ მარილის აქციზის შემცირებით ხაზინის შემოსავალს არა დააკლდება რა, მაშინ შეამციროსო.

Iანვრის დამდეგს პეტერბურღში ისეთი ყინვები და სიცივე ყოფილა, რომ რამდენიმე დღის განმავალობაში ზოგიერთი სასწავლებლები დაუხურავთ, რადგან შაგირდებს შკოლებში სიარული უჭირდათო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებიდამ სჩანს, რომ საკუთრივ რუსეთში, კავკასიაში და ფინლანდიაში ამჟამად თორმეტი ათასი ექიმი ითვლებაო.

ს. პეტერბურღის ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია ისეთი სახლის (მორგის) გამართვა, სადაც დამლჩვალს და საზოგადოთ უცნობ მოკლულ ხალხს დაასვენებენ რამდენიმე დღის განმავალობაში იმისთვის, რომ ჭირისუფლებმა ნახონ და თუ უნდათ, მიცვალებულები დასამარხავათ წაიღონ. ამნაირი მორგი თითქმის ყველა დიდ ქალაქებშია ევროპაში.

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია დეპეშა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ კაზლოვო-ვორონეჟ-

ლები ერთობ ვაჟკაცნი და მამულის დასახსნელად თავგანწირულნი ყოფილან, აპატივა, განათავისუფლა მუციუსი და მის მემამულეებსაც იმწამსვე შერიგების პირობა გაუგზავნა. მუციუსს რომაელებმა სცევოლა დაარქვეს, რაც ქართულათ ცაციას ნიშნავს. ასე იხსნეს თავისი სამშობლო ამ ორმა კაცმა.

ერთი სურათიც აბერძნეთის ძველი ისტორიიდამ. ამბავი ქრისტეს შობის წინ მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის.

როდესაც სპარსელების მეფე ქსერქსი აუარებელის ჯარით მიუახლოვდა საბერძნეთს, ამ დროს, თუმც თავათ საბერძნეთის პატარა სახელმწიფოებთ შორის შური და განხეთქილება იყო, მაგრამ სამშობლოს საერთო მტერისაგან დასაცველად ამ პატარა სახელმწიფოებმა დაივიწყეს ურთიერთის შორის შური და შეკრეს პირობა, რომ სპარტანელების მეფის ლეონიდას წინამძღომლობით ერთად დახვედროდნენ მტერს ისე, როგორც მამულის ნამდვილ შვილებს შეეფერებოდა.

Iვლისში (480 წ. ქრისტეს შობის წინ), სწორეთ იმ დროს, როდესაც ბერძნები „Oლიმპიის თამაშობას“ დღესასწაულობდნენ, ქსერქსი თავისი ჯარით მიადგა Tერმოპილეს გასასვლელს. ეს გასასვლელი 300 სპარტანელით და კიდევ ახალი კავშირის რამდენიმე ათასის კაცით, ლეონიდას ჰქონდა გამაგრებული.

ქსერქსმა მოციქული მიუგზავნა ლეონიდას, იარაღი დაჰყარეთო. მოციქულს უთხრეს: მობრძანდით და წაიღეთო!

— მტერი ისე ურიცხვი არისო — უთხრეს მოციქულებმა, — რომ მათგან ნასროლი ისრები მზის შუქს დააბნელებს!

— უფრო უკეთესი! დაიყვირა ერთმა ბერძენმა, ჩვენ მაშინ ბნელაში ვიომებთ!

ამ პასუხის გამგონე ქსერქსი გაბრაზდა და განიზრახა ბერძნების მთლათ ერთიანათ ამოწყვეტა. რამდენიმე დღის განმავლობაში ორივეს მხრით თავგანწირული ომისა, ქსერქსმა ვერას გზით ვერ გაapო ბერძნების ერთი მუჭა ჯარი, რომ გასასვლელი გზა ეშოვნა. — მაგრამ ამ დროს ერთმა ბერძენმა უღალატა თავის სამშობლოს: გადვიდა მტრის ბანაკში და წამოუძღვა იმისთანა გზით, რომლიდამაც იმათ ბერძნების თავის დავლა შეეძლოთ. შეიტყო ეს ამბავი ლეონიდამ თუ არა, იმ წამსვე დაითხოვა კავშირის ჯარი და მარტო თავისი 300 სპარტანელით, რომლებსაც კიდევ 700 კაცი მეზობელი ქალაქის თავისუფალი მეომარნი შემოუერთდენ, დარჩა ორს ცეცხლს შუა. — ამ ათასი კაცით გადასწყვიტა ლეონიდამ ორივე მხრით მომდგარ მტრისათვის ვაჟკაცურათ შეეკლა თავი.

ზარდა სამშობლოს სიყვარულისა, იმას ამ შემთხვევაში არაფელი არ მიუძღვოდა წინ. და მართლაც ამ ომის ადგილს დამდგარი ძეგლის წარწერა ატყობინებს გამვლელს, რომ ამ ძვირფასს მამულის შვილებს, სანამდისინ სრულებით არ შეუკლავთ თავი მტრისათვის, მანამდისინ ომი არ შეუწყვეტიათ. — აი ძეგლის წარწერა:

„გამვლელო! გირდაეცი სპარტანელებს, რომ ამ ადგილას 300-მა

სკო-როსტოვის რკინის გზის კამპანიას უფლება მიეცა, რომ ნახჩევანსა და როსტოვის გარს შემოსახვევი რკინის გზის რტო გააკეთოს.

☆ ოდესსის მუშა-ხალხის მდგომარეობაზე თან-და-თან უარესი და უარესი ამბები მოდის. ამის მიზეზი, როგორც იწერებიან, ის არის, რომ ზოგიერთ იქაურ ფაბრიკებს მუშაობა შემოაკლდათ და მუშები დაუთხოვნიათ. ზოგიერთ სხვა ფაბრიკებზე, სადაც ადრე ორასი და სამასი კაცი მუშაობდა ყოველ-დღე, ახლა ორმოცზე მეტი არ მუშაობს და იმათაც მანეთისა ან ექვსის აბაზის მაგივრად, მხოლოთ ათი შაური ან სამი აბაზი ეძლევათო.

# უცხო ქვეყნები

**საფრანგეთი.** ერთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია პარიჟიდამ მიღებული დეპეშა, რომელშიაც სწერია, ვითომც პარიჟის დიპლომატებში გავარდნილ იყოს ხმა, რომ თუ ნაციონალურმა კრებამ კონსტიტუციური კანონები არ დაამტკიცა ამ სხდომებშიო, მაკ-მაჰონი სამსახურის მიტოვებას აპირებსო.

პარიჟის გაზეთებს ეს ამბავი ძალიან უკვირთ; ისინი ამაში მაკ-მაჰონის მხრით მხოლოთ ოინს ხედავენ; კარგათ იცისო, რომ იმისაგან პრეზიდენტობის მიტოვება ამ ჟამად საფრანგეთს აღელვებს ამ; გარემოებით უნდა ისარგებლოს და რა კანონებისაც დადგენაცა ჰსურს, დაადგენინოს კრებასაო. ტიერმაც რამდენჯერმე ჩაიდინა ამისთანა ოინიო, მაგრამ ბოლოს თვითონვე იგაება თავისვე მახეშიო და იძულებული შეიქნა მართლა დაენებებინა პრეზიდენტობისთვის თავიო. მაკ-მაჰონის მხრით ამ გვარი მოქმედება მართლა რომ გასაკვირველი იქნება იმიტომ, რომ ამ ერთი წლისა და ნახევრის განმავალობაში თუნდა ორმოცჯერ მაინც სთქვა, რომ შვიდი წლით ამომარჩია ნაციონალურმა კრებამ პრეზიდენტად და ამ ხნის განმავალობაში ჩემს უფლებას არავის დაუთმობო, საფრანგეთს მშვიდობიანობას არ დაურღვევო“. მაგრამ მაკ-მაჰონისთანა კაცებისაგან ლოგიკას არ უნდა ვთხოულობდეთო, ამბობს ბოლოს ფრანცუზული გაზეთი.

**იტალია.** შარშან ამ დროს იტალიის მმართებლობამ რამდენიმე კაცი დაატუსაღა რომის ახლოს, ერთი გამოჩენილი იტალიელის-რუფფის—სახლებში; ამ კაცებს აბრალებდნენ, ვითომც შეთქმულობა ჰქონოდათ, რომ იტალიაში ახლანდელი მონარხიული ფორმა მმართებლობისა მოესპოთ და განზრახვა ჰქონოდეთ, რომ რესპუბლიკა დაედგინათ. ამ საქმის გამოძიებისაგან აღმოჩნდა, რომ ამ კაცებს სრულებით არავითარი ამ გვარი აზრი და განზრახვა არ ჰქონიათ, და ამის გამო მაშინდელი დატუსაღებულები ეხლა გამოუშვიათ საპყრობილიდამ. ოპოზიციურს (რესპუბლიკურს) გაზეთებში ძალიან გაცხარებული სტატიებია ამ გარემოების თაობაზე; ისინი ჰკიცხავენ მთავრობას, რომელმანც სრულებით უკანონოთ დაატუსაღა და შეავიწროვა ამდენი პატივცემული ხალხი; სასამართლომ ისინი უმანკოთ იცნო და მთავრობას კი სულ ტყუილ-უბრალოთ წელიწადზე მეტი დატუსაღებული ჰყავდაო.

**გერმანია.** იანვრის 23-ის სხდომაში გერმანიის პარლამენტს კანონად მიუღია და დაუმტკიცებია მმართებლობისაგან წარდგენილი კანონის პროექტი, რომლის ძალითაც ყველა გერმანიის სახელმწიფოებში სამოქალაქო ქორწინება უნდა დაწესდეს.

**ესპანია.** ახლად დადგენილ ესპანიის მთავრობას ბრძანება გამოუცია, რომ დონ-კარლოსის ყველა მომხრეებს, რომელნიც თავის ნებით დაყრიან თოფ-იარაღს და დაგვემორჩილებიან, სრული პატივი და შეწყნარება მიენიჭებათო. მაგრამ ვისაც იარაღით ხელში დაიჭერთ, იმათ იმწამსვე დაჰხვრეტთო.

— მარშალი სერრანო, რომელიც გამებდა თუ არა დონ-ალფონსი, პარიჟში საცხოვრებლად წავიდა, მადრიდში დაბრუნებულა. ამბობენ, ახალმა მთავრობამ რაღაც დიდი თანამდებობის მისაწდომელად გამოიხმოო. ამის შემდეგ სერრანოს მომხრეები კიდევ გვარწმუნებენ, რომ ვითომც ამ უკანასკნელ რევოლიუციაში იმას არავითარი მონაწილეობა არ მიეღოს, ვითომც ის დონ-ალფონსის გამეფების წინააღმდეგი იყო!..

— ესპანიის გაზეთებში დაბეჭდილია გამოჩენილი რესპუბლიკელის —ემილიო კასტელიარის წერილი, რომელშიაც ამბობს, რომ დეპუტატობას არ მივიღებ, თუ ხელმწიფის ერთგულობის ფიცი მომთხოვესო.

# ქრონიკა

### დიმიტრი თავდადებულის სიკვდილი.

—

იშვითია ევროპის ხალხების ისტორიაში ისრეთა მაგალითები, რომ მეფე სიკვდილით დაესაჯოთ. უფრო იშვიათია იმისთანა მაგალითები, რომ რომელსამე ევროპის მეფეს დაეჭიროს უცხო ქვეყნის მეფე და გამოუძიებლად კისერი წაეჭრას. მაგრამ ხშირია ამ გვარი მაგალითები აზიაში მცხოვრები ხალხების ისტორიაში. აზიაში ბარბაროსობას საზღვარი არა ჰქონდა. აქ კაცის თავის მოჭრაც ერთი იყო, ქათმის დაკვლაცა.

ქართველ ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში ბევრია იმასთანა მაგალითები, რომ მეფეებს ერის კეთილდღეობისათვის თავი შეუწირავთ სასიკვდილოდ. ამ გვარ ძმათა-მოყვარე მეფეებს შორის ირიცხვის აგრეთვე დიმიტრი თავდადებულიცა. დიმიტრი მეფე მოჰკლა მონგოლების აბალახანმა.

ამ გვარის სამწუხარო სიკვდილის მიზეზების გამოუკვლეველად კაცმა რომ დაიწყოს სჯა მოკვლაზე, გაუკვირდება, რომ მეფე მოჰკლეს და ხალხმა კი ხმა არ ამოიღო, არ წაესარჩლათ თავის მეფეს და არ განარინა სიკვდილისაგან. დიმიტრი მეფე არ უყვარდა საქართველოს ერს ხალხს უყვარდა, მაგრამ იყვნენ შინაურნი მიზეზები, რომლისა გამო ხალხს არ შეეძლო ხმის ამოღება. პირველი მიზეზი ის იყო, რომ ქართველი ხალხი ისტორიულად იყო შეჩვეული მეფეების თავგანწირულებას საქართველოს მძლავრი მტრის აოხრებისაგან გადასარჩენად; იმას თვალ-წინა ჰქონდა მეფეებისა და საქართველოს წარჩინებულების მაგალითები. მეორე მიზეზი ის იყო, რომ მთავრებში თანხმობა არ იყო; თუ მთავრები ხმას არ ამოიღებდნენ, დაბალი ხალხი თავისით არას დაიწყებდა ხოლმე. ამ დროს იყვნენ იმისთანა წარჩინებული ქარველები, რომელთაც დიმიტრის მტრობა ჰქონდათ. ამისთანა იყო ხუტლუშა ანუ ხუტლუ-ბულა, რომელიც იყო სადუნი მანკაბერდელის შვილი. იყვნენ იმისთანა მთავარნიცა, რომელთაც თუმცა დიმიტრის მტრობა ჰქონდათ, მაგრამ არც მისთვის შემწეობა სურდათ, აგრეთი იყო სამცხეს ათაბაგი ბექა ჯაყელი.

დიმიტრი არ უყვარდა მეფეს ამისთვის, რომ იმისი მამა თავის სიბდიმენობის დროს იმას არაფრად აგდებდა, დიდად შეაწუხა ხალხი ქრთამებითა და მძლავრობითა; ის იყო მშვებელი და მდიდარი. 412 კაბადონზე „ქართლის ცხოვრებაში“ ამბობს: „ოქროსა და ვერცხლის ჯოგისა და ხვასტაგისა არა იყო რიცხვი: რამეთუ იყო კაცი ესე მშვებელი“.

რადგან ასრეთი მდიდრული და გემოვნებითი ცხოვრება უყვარდა, ამისთვის იმან ძალაუნებურად მეფეს გამოართვა ისანის სასახლეც და შიგ სცხოვრებდა. ამას ჰყვანდა ორი ცოლი; მაგრამ შემდეგში დიმიტრის და თამარიც, რომელიც თუმცა აბაღყაენის შვილის ცოლი იყო, მაგრამ არ დომულობდა, მონგოლებისაგან იყიდა და ესეც თვითონ შეირთო. ამასთანავე მძლავრობით იყიდა მეფისაგან თელავი, ბელაქანი და დმანისი.

როცა ეს კაცი მოკვდა, დარჩა შვილი სახელად ხუტლუშა. ესეც მამა-

---

სპარტანელმა, თავისი მამულის კანონების დასაცველათ, მტერს თავი შეაკლა!“

კმარა ასეთი დაწვრილებითი ლაპარაკი და ეხლა შენ მოიგონე შვეიცარიის განთავისუფლება ავსტრიელების მფლობელობიდამ, მისი ვილჰელმ ტელლით, ვინკელ რიდით და სხვა ბევრი მამულის სახელვანი შვილებით. მოიგონე ამერიკის განთავისუფლება ინგლისელების მფლობელობიდამ, მისი ვაშინგტონით და ფრანკლინით და სხვა.

ამ სახელოვანი მამულის შვილების სურათი და მოგონება დღემდინ ამშვენებს იმათ მემამულეების ისტორიის ფურცლებს; იმათ თავგანწირულობას სამშობლოისათვის მთელი სახალხო პოეზია დაუბადებია, რომელსაც დღეს დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი იზეპირებს და დამღერის! ასე იცოცხლებს და ასე გარდავა იმათი მოგონება ერთი შთამომავლობიდამ მეორე შთამომავლობაში უკუნის-უკუნამდე!...

აბა, ეხლა გარდაშალე ჩვენი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლები, რომ დარწმუნდე თუ ჩვენს სამშობლოს სულ ძველ დროებში რამდენი მამულის სახელოვანი შვილი ჰყოლია! შემდეგ საუკუნოებში კი შინაურებსა და გარეულსა მიზეზებს ის დაუცია იმისი ზნეობა, რომ მამულის ინტერესების გულ-დამწველი შვილი ცოტათა ანუ სრულებით არა ჰყოლია?

ათასჯერ ნათქვამს და ათასჯერვე ფაქტებით დამტკიცებულს—მეათასერთჯერ მეც ვიტყვი, რომ ისეთი გაჭირვებული და თან სასახელო მოსაგონებელი წარსრული, როგორიც ჩვენ არცერთ ჩვენისთანა, პატარა ხალხს არ ჰქონია.

ისევ „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება, რომ არც ერთი ხალხი არ ყოფილა აღმოსავლეთის ქვეყნებში და თვით ჩვენს მთიულ პატარა ხალხებშიაც, რომ იმათ თავიანთი ძალა ჩვენს სამშობლოზე არ გაეშინჯოთ.

აი გაუგონეთ ჩვენს პოეტს:

„ქართლის ჭირს ვერვინ მოსთვლის, თუ
არ ბრძენი, ენა მჭევრი!
იქლი ღვარძლათ გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი,
ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან
წარიქციის ბევრი,
და მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწევრი“.

შემდეგ:

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეს,
ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ
წაჰკრა თითო ქისტი!“

ამასთან ვერცერთი ჩვენისთანა პატარა ხალხი ვერ მოიყვანს თავისი წასრული ცხოვრებიდამ მამულის ნამდვილი და სახელოვანი შვილების იმდენს მაგალითს, რამდენსაც ჩვენ ჩვენი სამშობლოს წასრული ცხოვრებიდამ, ჩამოთვლა შეგვიძლია თვით იმ დროიდამაც, როდესაც ზემო მოყვანილი პოეტის სიტყვებით:

„მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა
ძმასა ხისტი;“

(დასასრული შემდეგ №-ში)

—

საეით მძლავრი კაცი იყო და ამისთვის არც ეს უყვარდა დიმიტრის. ეს ხუტლუშამ იცოდა და სცდილობდა იმის დაღუპვას.

როცა რუსუდანის შვილის-შვილის შვილმა ბულამ, რომელიც ამ დროს პირველი ნოინი იყო მონგოლებში, აბალას მოკვლა მოინდომა და თვითონ ყაენად დაჯდომა; მაგრამ ვერ მოახერხა ამისთვის, რომ ის გასცეს, მაშინ ხუტლუშას მისცეს პირველი ნოინობა და ამირ-სპასალარობა ბულას შემდეგ ახლა ხუტლუშას დარჩა ბური- თი და მეიდანი. აბალას ისრე ამოქმედებდა ეს კაცი, როგორცა სურდა.

რადგან დიმიტრის არ უყვარდა, ამისთვის სრულიად მონგოლებს მიენდო და დაიწყო დიმიტრი მეფის წინაალმდეგობა. ამან მიიმხრო ხოჯა-აზიზის შვილიცა, რომლის მამაც დიმიტრის მამამ მეფე დავით სოსლანმა მოჰკლა, და იქამდე მიიყვანა საქმე, რომ დიმიტრი მეფეს 1289 წელს მოჰკვეთეს თავი, და ხუტლუშას მეცადინეობით, საქართველოში დასვეს მეფედ იმერეთის მეფის დავით ნარინის შვილი, ვახთანგი მე-II.

დიმიტრის გვამი თფილისის ვაჭრებმა მოიპარეს, გაახვიეს თევზის ურმებში, მოასვენეს საქართველოში და დაასაფლავეს მცხეთაში.

ამ მეფის სიკვდილის ჟამს შესანიშნავი ის არის, რომ ის უფრო ქართველებმა მოჰკლეს, ვიდრე მონგოლებმა. მონგოლები ვერ მოჰკლიდნენ, თუ რომ ქართველები წასარჩლებოდნენ. მაგრამ შერცხვენილმა ხუტლუშამ ეს არ მოინდომა.

შესანიშნავია აგრეთვე ისიცა, რომ თუ ხუტლუშას, ბულას და ბექა ჯაყელს ერთობა ჰქონოდათ, არამც თუ ამ დროს საქართველოს გაანთავისუფლებდნენ, არამც თვითონ სპარსეთის მონგოლებსაც დაიმორჩილებდნენ. ყაენს სახლი ექცეოდა, მაგრამ ქართველები იმას სვეტად და ბურჯად უდგებოდნენ. საქართველო მაინც ორგულობამ და უთანხმოებამ დაღუპა.

ინგილო ჯანაშვილი

# ნარევი

ნაპოლეონ მესამის ქვრივს, ევგენიას, ხუთმეტი მილიონი მანეთი უსესხებია ლონდონში. ამბობენ, თავდებად ინგლისის კოროლევა-ვიქტორია დასდგომია.

უეჭველია, ეს ფულები კარგათ გამოადგება იმ აგიტაციისათვის, რომელშიაც საფრანგეთის ბონაპარტისტები ასეთ სიმარჯვეს იჩენენ.

* * *

ქერჩის ქალაქის მოთავეს პავალევსკის რევოლვერი უკრავს საფეთქელში და თავი მოუკლავს. როდესაც შინაურებს რევოლვერის ხმა გაუგონიათ და ოთახში შეცვივნულან, მამაკვდავი პავალევსკი უნახავთ ძირს გაშხლართული. იმის საწერ სტოლზე ეგდო პატარა ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზედაც ეწერა, რომ ჩემი საქმეები ისეთ ნაირად დახლართულია, რომ იმათ მოთავსებას ვერ მოვახერხებ და ჩემი თავის შერცხვენას თავის მოკვლა ვამჯობინეო.

ყველა ქალაქის მოთავემ, ვისაც საქმეები დახლართული აქვს, ამ გვარად თავის მოკვლა რომ გადაწყვიტოს, როგორ გგონიათ, ბევრი გადარჩებოდა დედა-მიწაზე?

* * *

გაგვეგონებათ, რომ ლონდონში ქუჩებს-ქვეშ მიწაში რკინის გზებია გაყვანილი, რადგან ზევით მიწაზე (ქუჩებში) ალაგი არ იყო და მოსიარულების შევიწროვებისა ეშინოდათ. ერთი ამისთანა რკინის გზა, მიწის ქვეშ, სტამბოლშიაც გაუკეთებიათ, ორს უბანს შუა — გალათისა და პერუს ქვეშ.

* * *

როგორც მოგეხსენებათ ამერიკის რესპუბლიკის შტატები თავის განთავისუფლების ასი წლის იუბილეის დღესასწაულობენ და თან ამ დროსთვის ფილადელფიაში მსოფლიო გამოფენაც იქნება. გაზეთებში სწერენ, რომ ამ დღესასწაულზე ევროპიდამ ყველა გამოჩენილი კაცები, რომელთაც კი ხალხის თავისუფლებისათვის უბრძვიათ ან ამ თავისუფლების დასაცველად უწერიათ რამე, მიწვეულნი არიანო. სხვათა შორის დარწმუნებით ამბობენ, რომ ამერიკის დღესასწაულზე გარიბალდი, ვიქტორ ჰიუგო, ლუი ბლანი, გამბეტტა, კასტელარი და ბევრი სხვანიც დაესწრებიანო.

* * *

# სავაჭრო

△ სამაზრო ინჟინრის მმართველობა კავკასიის სამხედრო მაზრისა გამოიწვევს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აღება ქ. ალექსანდროპოლში შემდეგი მუშაობისა: 1 ციხის ხევში უნდა აშენდეს თოფის-წამლის შესანახავი სარდაფი, 2) ფეხის ადგილები უნდა გადაკეთდეს ალექსანდროპოლის ლოშპიტალში; ამას გარდა 153 ბაქოს ქვეითა პოლკისათვის, ახალქალაქში, ორი კუხნა უნდა აშენდეს. ფასი იჯარისა დანიშნულია 54,263 მან. და 96 კაპ. ვაჭრობას იქნება თფილისში, სამაზრო ინჟინერი კანცელარიაში, იანვრის 23-ს; ხელმეორეთ ვაჭრობა აღარ მოხდება. უფრო დაწვრილებითი პირობების ნახვა ამ იჯარისა თვითონ ინჟინერის კანცელარიაში შეიძლება, ყოველ დღე $9^{1}/_{2}$-დამ 3 საათამდი.

3 (3) 10

△ სამაზრო ინჟინერის მმართველობა კავკასიის სამხედრო მაზრისა გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აღება შემდეგი მუშაობისა — თერგის მაზრაში, ქ. ვოზდვიჟენსკში: 1) არტილერიის ბრიგადისათვის ორ-ეტაჟიანი ქვითკირის მასტერკაიას აშენება; ბ) ძველი სახურავის გამოცვლა და ახალი კრამიტის სახურავით გაკეთება შტაბ-კვარტირების შენობებისა და გ) რემონტი სამი ყაზარმისა, — სულ 27,104 მანეთის იჯარაა. ვაჭრობა დანიშნულია თფილისში იანვრის 24-ს, ხელმეორეთ ვაჭრობა არ იქნება.

3 (3) 11

△ ერევნის გუბერნიის სამმართველო გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ, იჯარით, გადაკეთება შვიდ კარდონის პოსტებისა ეჩმიაძინის და ალექსანდროპოლის უეზდებში და აგრეთვე ახალი პოსტის აშენება შიგ-ტატინში, — 73,215 მანეთისა. ვაჭრობა მოხდება 11 თებერვალს ქ. ერევანში.

3 (3) 12

## თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 1 საათამდი

**ორშაბათს:** ექიმი მინკევიჩი — ხირურგიის, პარჟნიცკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფებისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** პარჟნიცკი — ყმაწვ., ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისათვის.

**ხუთშაბათს:** პარჟნიცკი ყმაწ., ქალებისა და ვინერიული ავათმყოფობისა. — მაკაროვი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** მინკევიჩი — ხირურგიისა, პარჟნიცკი — ყმაწვ., ქალებს და ვენერ. ავათმყოფ., ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** მარკაროვი და ლისეცევი ინაგანი ავათმყოფობისათვის.

# განცხადება

## „დროების კალენდარი“

ქართველებისა, სომხებისა და ფრანგებისათვის შედგენილი და გამოცემული „დ რ ო ე ბ ი ს“ რედაქციისაგან.

ისყიდება: თფილისში — ვართანოვის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე სხვა ჩვენ ქალაქებში და უეზდებში.

ფ ა ს ი ე ქ ვ ს ი შ ა უ რ ი.

## რუსული გაზეთის „თ ფ ი ლ ი ს ი ს მ ო ა მ ბ ი ს“ გამოცემაზე 1875 წელს.

„თფილისის მოამბე“ 1875 წელს გამოვა იმავე პროგრამმით, იმავე დროს და იმავე სივრცით, როგორც 2არშან გამოდიოდა.

### გაზეთის ფასი

ერთი წლით, გიგზავნით. . . 8 მან.
ნახევარი წლით . . . . . . 4 და 50 კ.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Тифлисскаго Вѣстника.“**

(3) 1

## ბიბლიოგრაფიული ცნობა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ „საყმაწვილო კონა“ ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებიდგან, პირველი ნაწილი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

3 (3) 5

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 12 | 30 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 31 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 8 | 2 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — ხუთშაბ. საღ. 6 საათ.
სტამბოლს — კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — ოთხშაბათს, ღამით.
ოდესას — პარასკევს, გათენებისას

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.
გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან — ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 9 იანვარს. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33^{1}/_{2}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $349^{1}/_{2}$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | 75 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 195 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 195 | — |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის ($5^{1}/_{2}$) | 84 | 50 |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 50 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 235 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 133 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 19 იანვარს. | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 10 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 65 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 55 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | 40 |
| — თარაქამისა ფთ. . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 60 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 70 |
| სპირტი, ვედრო. . . | 7 | — |
| შაქარი, კარგი ფუთი . | 8 | 50 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 7 | — |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | 50 |
| ოქრო $^{1}/_{2}$ იმპერიალი. . | 5 | 87 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Января 1875 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი